**ფილოსოფიის მეცნიერებათა <u>დოქტორის</u>, <u>აკადემიკოსის</u> და საზოგადო მოღვაწის შალვა ხიდაშელის (1911-1991) დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ინტერდისციპლინული სამეცნიერო კონფერენცია**

**2026 წ. 12-13 ნოემბერი**

## I. ღონისძიების აღწერა

იუნესკოს დადგენილებით, მთელ მსოფლიოში 2002 წლიდან ყოველწლიურად ტარდება „ფილოსოფიის დღე". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტი ტრადიციულად უერთდება ამ თარიღის და **2026 წლის 12-13 ნოემბერს,** იუნესკოს პროგრამის ფარგლებში, ატარებს ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კონფერენციას და **16-17 ნოემბერს** გაიმართება სტუდენტთა რეგიონალური კონფერენცია. კონფერენცია ეძღვნება ფილოსოფიის მეცნიერებათა <u>დოქტორის</u>, <u>აკადემიკოსის</u> და საზოგადო მოღვაწის **შალვა ხიდაშელის** (1911-1891) დაბადებიდან 115 წლისთავს. 12 ნოემბერს თსუ მუზეუმში (თსუ I კორპუსი, II სართული) გაიხსნება გამოფენა „შალვა ხიდაშელი 115''.

კონფერენციისთვის წარსადგენი მოხსენებების თემატიკა მოიცავს ფილოსოფიის, თეოლოგიის, რუსთველოლოგიის, მედიევისტიკის, ანთროპოლოგიის, კულტუროლოგიის, რელიგიის, ხელოვნების, ისტორიის, ფილოლოგიის სფეროებს.

**კონფერენციის მიზანია:**

- სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობა ქართული ფილოსოფიის ისტორიის, ქართული კულტურის, ქართული რენესანსის, რუსთველოლოგიის, ზნეობისა და პოლიტიკის და თანამედროვე ფილოსოფიის საკითხების მიმართულებით.
- საქართველოს და საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული პროფესორებისა და ახალგაზრდა მკვლევრების შეკრება და მათი სამეცნიერო მუშაობის სტიმულირება.
- ქართველ მეცნიერთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება უცხოელ კოლეგებთან.

**განსაკუთრებით მივესალმებით შალვა ხიდაშელის ქართული ფილოსოფიური, ისტორიული, ფილოლოგიური ნააზრევის გარშემო წარმოდგენილ მოხსენებებს და შედარებითი კვლევის შედეგებს.**

გთხოვთ, მიუთითოთ მოხსენებისათვის საჭირო ტექნიკა.

**კონფერენციის გახსნა : 2026 წლის 12 ნოემბერს, 11:00** საათი.

**მისამართი**: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1**ივანე ჯავახიშვილის სახელობის, 107-ე აუდიტორია.**
**სამუშაო ენები:** ქართული და ინგლისური

## II. ავტორთა წინაშე წაყენებული მოთხოვნები საერთაშორისო ბაზების სტანდარტების შესაბამისად (ERIH+, Crossref, Google Scholar და სხვ.)

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
**გაფართოებული თეზისები და მოხსენების ტექსტი** (რომლის დაიბეჭდება რეცენზირებად ბილინგვურ ჟურნალში „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი“, N17, 2027);

- **მოხსენების სათაური, მომხსენებლის სახელი და გვარი, აკადემიური სტატუსი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი; მოხსენების ტექსტის ელექტრონული ვერსია, (მოცულობა: 13-15 გვერდი, გვერდების რაოდენობაში არ შედის უცხოენოვანი და ქართული რეზიუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია);**

- **A4 ფორმატი, შრიფტი UNICODE (Sylfaen), ზომა 12**
- სტრიქონებს შორის მანძილი –1.15
- მინდორი: ზევით-ქვევით 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ 2,5 სმ
- ფურცელი არ ინომრება
- ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში.

**რეზიუმე ქართულად და ინგლისურად, რეზიუმეს მოცულობა: 450-500 სიტყვა თითოეულ ენაზე, რომელშიც გამოკვეთილი იქნება კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდები კვლევის შედეგები და დასკვნები. შრიფტი UNICODE (Sylfaen), ზომა 12, ინტერვალი 1)**

- გამოყენებული ლიტერატურა – ქართულად და ინგლისურად.
- ქართულ ლიტერატურაში ანბანური თანმიმდევრობით განლაგდეს ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები (ორიგინალის ენაზე).
- გამოყენებული ლიტერატურის სია ზედმიწევნით უნდა ითარგმნოს ინგლისურად. არალათინური შრიფტით მისათითებელ ნაშრომთა სათაურებისთვის აუცილებელია ტრანსლიტერაცია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სტანდარტით. **ტრანსლიტერაცია არ შეეხება იმ ინდოევროპულ ენაზე დაწერილ სტატიებს, რომლებიც ლათინური შრიფტითაა წარმოდგენილი (ფრანგული, იტალიური, გერმანული და სხვ.).** სატრანსლიტერაციო წესებით გადაწერილ სათაურს უნდა მოსდევდეს სათაურის ინგლისურად თარგმნილი ვერსია.

  იხ. ნიმუში:

**Gamsakhurdia, Z. (1984).** Goetes msoplmkhedveloba antroposopiuri tvalsazrisit [Goethe's Worldview According to the Anthroposophical Perspective]. *Tsiskari, 5,* 149-157. Publishing House of the Central Committee of the Communist Party of Georgia. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/137718

კონფერენციაზე წარსადგენ მოხსენებებს შეარჩევს საორგანიზაციო კომიტეტი. კონფერენციაზე წარსადგენი ყველა მასალა, როგორც მიბმული დოკუმენტი (დანართი), უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: demuri.jalagonia@tsu.ge ან anastasia.zakariadze@tsu.ge არაუგვიანეს **2026 წლის 25 ოქტომბერი.**

**მისამართი:** ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი, თსუ ფილოსოფიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ოთახი 205. ტელ: 599257471.

## III. ნაშრომის მიღების პროცედურა და გაფორმებისა წესი

**თითოეული სტატია გაივლის ორმაგ, ანონიმურ რეცენზირებას.** რეცენზირებულ ნაშრომებს შეარჩევს საორგანიზაციო კომიტეტი.

ნაშრომის გასაფორმებლად გთხოვთ, იხელმძღვანელოთ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) ციტირების სტილით. APA-ს სტილის სახელმძღვანელოს ბოლო, მე-7 გამოცემის მიხედვით, კონკრეტული წყაროს შესახებ მოცემულ ინფორმაციაში ყოველი ელემენტი ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს წერტილით; მძიმეებს ვსვამთ ელემენტების შიდა ჩამონათვალის შემთხვევაში (მაგ.: ავტორთა გვარები, ან ავტორის გვარი, რომელსაც მოჰყვება სახელის ინიციალი); ორწერტილი გამოიყენება მონოგრაფიის/კრებულის გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის სახელებს შორის (და, დამაზუსტებელი, ქვესათაურის არსებობის შემთხვევაშიც); სტატიის ტექსტში დასახელებული ყველა ავტორი/წყარო აუცილებლად უნდა მიეთითოს ანბანთრიგზე გაწყობილ გამოყენებული ლიტერატურის სიაშიც. იხ. სტატიისა და მონოგრაფიის მითითების ნიმუშები:

### III.1. შიდატექსტური დამოწმება:

**ა.** ბრჭყალებში ჩასმული ციტატის შემდეგ ავტორი მიეთითება შემდეგი წესით: მრგვალ ფრჩხილში (ავტორის გვარი, წელი, გვ. 107), იხ. ნიმუში:

,, ...'' (ნუცუბიძე, 1947, გვ. 107).

Effective teams can be difficult to describe because “high performance along one domain does not translate to high performance along another” (Ervin et al., 2018, p. 470).

**ბ.** ციტატის პერიფრაზის შემთხვევაში, რომელშიც, მსჯელობის ნაწილში, მოყვანილია ავტორის გვარი, მიეთითება მხოლოდ (წელი, გვ. 107) – მრგვალ ფრჩხილებში, ავტორის დასახელების შემდეგ; მაგ.:

**შ. ნუცუბიძის მიხედვით (1947, გვ. 107), ... და გაგრძელდება მსჯელობა.**

**გ.** შიდატექსტურ ციტატაში ორზე მეტი ავტორის შემთხვევაში მრგვალ ფრჩხილში მიეთითება მხოლოდ პირველი ავტორი:

1.1. **ქართულში: (კაპანელი და სხვ., 1978, გვ. 45)**

1.2. **ინგლისურში: ( Kapaneli et al., 1978, გვ. 45)**

**დ.** დიდი ზომის (40 სიტყვაზე მეტი მოცულობის), ე.წ. „ბლოკური ციტატა“ ძირითადი, სტატიის ტექსტისაგან უნდა გამოიყოს ერთიანად შეწეული აბზაცით, იხ. ნიმუში:

Understanding of The Writing Center at The College of Western Idaho (CWI) can assist students in using this important resource effectively. The CWI Writing Center (2012) webpage provides information on their services and philosophy:

> The Writing Center is a place where students can talk about writing in a supportive atmosphere. Writing Center consultants are careful readers and listeners. As such, they will not edit papers, but will instead offer strategies for revision and help identify errors. They help with any type of writing at any stage of the writing process, including brainstorming, drafting, revising, and polishing. (para. 1)

This information provides a description of The Writing Center and what the consultants can do to help students. The Writing Center’s ability to guide and develop writer’s skills, without editing or doing the work for them, can be understood from the quote.

**III.2. გამოყენებული ლიტერატურის მითითების წესი APA-ს სტილის მიხედვით:**

**III. 2.1. მონოგრაფიის/კრებულის მითითება გამოყენებული ლიტერატურის სიაში:**

➢ ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, მაგ.: **ნუცუბიძე, შ.**
➢ გამოცემის თარიღი მრგვალ ფრჩხილში, წერტილით გამოყოფილი, მაგ.: **(1920).**
➢ნაშრომის დასახელება **დახრილი შრიფტით**; ქვესათაური (არსებობის შემთხვევაში) გამოიყოს ორწერტილით; სათაური მომდევნო (გამომცემლობის) ველისგან გამოიყოს წერტილით, მაგ.: ***ფილოსოფიის შესავალი: შემეცნების პრობლემა.***
➢გამომცემლობა (დასრულდეს წერტილით), მაგ.: **სახალხო საქმე.**
➢ბმული ან DOI: ვებგვერდის ბმულისა და DOI-ის (ორივეს) არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უკანასკნელს (DOI-ის), რომლის ბოლოსაც **არ არის** საჭირო წერტილის დაწერა, მაგ.: https://doi.org/10.1037/0000168-000
➢სტატიის ციფრული იდენტიფიკატორის (DOI) არსებობის შემთხვევაში (როგორც წესი, გამოიყენება ვებმისამართის ნაცვლად) საჭიროა ვებმისამართის პრეფიქსის (https://) მითითება: https://doi.org/და საიდენტიფიკაციო ნომერი (რომელიც, როგორც წესი, 10-ით იწყება):

✖ doi: 10.1080/02626667.2018.1560449
✔ https://doi.org/10.1080/02626667.2018.1560449

- **<u>იხ. წიგნის მითითების ნიმუში ბმულის გარეშე:</u>**

ნუცუბიძე, შ. (1920). *ფილოსოფიის შესავალი: შემეცნების პრობლემა.* სახალხო საქმე.

- **<u>იხ. წიგნის მითითების სრული ნიმუში ბმულით:</u>**

ნუცუბიძე, შ. (1920). *ფილოსოფიის შესავალი: შემეცნების პრობლემა.* სახალხო საქმე. https://h1.nu/1sTIY

- **<u>იხ. წიგნის მითითების სრული ნიმუში DOI-ის კოდით:</u>**

ნუცუბიძე, შ. (1920). *ფილოსოფიის შესავალი: შემეცნების პრობლემა.* სახალხო საქმე. https://10.3456-3456.12.15.01

**III.2.2. სტატიის მითითება გამოყენებული ლიტერატურის სიაში:**

- სტატიის ავტორის გვარი და წელი ეთითება იმავე – წინა (1-ელ) პარაგრაფში აღწერილი წესის მიხედვით, მაგ.: **კვარაცხელია, ნ. (2024).**

- სტატიის დასახელება უნდა მიეთითოს არადახრილი შრიფტით და გამოიყოს წერტილით, მაგ: **დელფოსის სამისნო და სოკრატეს დემონი.**
- ჟურნალისა (ან კრებულის, რომელშიც განთავსებულია სტატია) და ჟურნალის ნომრის/ტომის დასახელება დახრილი შრიფტით, რომლისგანაც მძიმით გამოიყოფა არადახრილი შრიფტით მითითებული გვერდები, ბოლოში დაისმის წერტილი მაგ.: ***ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, N14,* 39-45.**

- <u>**იხ. სტატიის მითითების სრული ნიმუში:**</u>

კვარაცხელია ნ. (2024). დელფოსის სამისნო და სოკრატეს დემონი, *ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, N14* 39-45. https://philosophy.journals.humanities.tsu.ge/index.php/philosophy/article/view/10277

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ციტირების სტილის ნიმუშები სრულად იხ. ბმულზე: https://apastyle.apa.org/style-grammar-guidelines/references/examples

## IV. ბიბლიომეტრიულ მონაცემთა ანკეტა

სტატიის სრული ტექსტის ელ. ფოსტაზე გაგზავნის გარდა, აუცილებელია ბიბლიომეტრიულ მონაცემთა ანკეტის შევსებაც, რომელშიც, ავტორის მონაცემების გარდა, უნდა მიეთითოს:

1 3-5 (იდენტური) საკვანძო სიტყვა ქართულად და ინგლისურად;

2. ავტორის მოკლე ბიოგრაფია (მოცულობა: 100 სიტყვა) ქართულად და ინგლისურად; ელფოსტის მითითებით.

3. ნაშრომის რეზიუმე ქართულად და ინგლისურად (**მოცულობა: 400-500 სიტყვა, ერთ აბზაცად, რომელშიც გამოკვეთილი იქნება კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდები და საკვლევი მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კვლევის შედეგები და დასკვნები).**

ბიბლიომეტრიული მონაცემების რეგისტრაცია შესაძლებელია ბმულზე: https://forms.gle/UVkYNuruh6iAFnCg7 , რომელიც განთავსებულია ჟურნალ *ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის* ვებგვერდის (https://philosophy.journals.humanities.tsu.ge ) მარჯვენა აშიაზეც (იხ. სარეგისტრაციო ბმული ავტორებისათვის):



ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი

მიმდინარე | არქივი | ჟურნალის შესახებ | მასალების გაგზავნა | რედაქცია | ტრანსლიტერაცია | კონტაქტი | ძებნა

## ჟურნალის შესახებ

***ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის პერიოდული გამოცემაა. ჟურნალი რეცენზირებადია და აქვეყნებს უახლეს კვლევებს ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართულებით (ISSN: 2233-3568).

## მიმდინარე გამოცემა

**No. 1 (2011): ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი**

**გამოქვეყნებული:** 2011-12-18

**სარეგისტრაციო ბმული ავტორებისათვის**

**E-ISSN: 3088-4403**

**P-ISSN: 2233-3568**

INTERNATIONAL STANDARD SERIAL NUMBER INTERNATIONAL CENTRE

ენა

English

ქართული